

საბაკალავრო პროგრამაზე "ფიზიკა" ხორციელდება მოტივირებული სტუდენტების წახალისების შემდეგი მექანიზმი: **ფიზიკაში/მათემატიკაში** ეროვნული გამოცდების შედეგებისა და პირველი სემესტრის განმავლობაში მიღწეული წარმატებების საფუძველზე პირველი სემესტრიდანვე ყალიბდება ჯგუფი გამორჩეული სტუდენტებისგან, რომლებიც გაივლიან ზოგადი ფიზიკის კურსებს წინმსწრები გრაფიკით (იხ. კურიკულუმში *-ით მონიშნული შენიშვნა). მაგალითისთვის, 2012 წელს მათ პირველ სემესტრში გაძლიერებულად მიეწოდათ "ფიზიკის შესავალი"-ს პრაქტიკული დავალებები, მეორე სემესტრში ერთდროულად ისწავლეს "მექანიკა" და "მოლეკულური ფიზიკა" (მაშინ როცა ჩვეულებრივმა ჯგუფებმა გაიარეს მხოლოდ "მექანიკა"). მესამე სემესტრში გამორჩეული სტუდენტების ჯგუფი ისწავლის "ელექტრომაგნეტიზმს", მაშინ როცა ჩვეულებრივი ჯგუფები "მოლეკულურ ფიზიკა"-ს გაივლიან და ა.შ. იგეგმება აგრეთვე თეორიული ფიზიკის სავალდებულო საგნების წინმსწრები გრაფიკით სწავლებაც. რა თქმა უნდა, განხორციელდება შიდა-მობილობა ჩვეულებრივ ჯგუფებსა და გამორჩეულ ჯგუფს შორის: სპეციალობის სავალდებულო საგნების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში (81 ქულა და მეტი) და საგნის პროფესორის რეკომენდაციით სტუდენტი შეიძლება გადავიდეს გამორჩეულ ჯგუფში და პირიქით, თუ სტუდენტი ვერ ძლევს წინმსწრებ პროგრამას, ის გადადის ჩვეულებრივ ჯგუფში. შედეგად ამ მექანიზმით გამორჩეული ჯგუფის სტუდენტებს დარჩებათ მეტი დრო და შეექმნებათ მეტი სტიმული სამეცნიერო მუშაობისათვის, კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომის სრულყოფილი სამეცნიერო პუბლიკაციის სახით წარმოდგენისთვის.